



**თბილისის სააკადემიო სასამართლო
ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**

საქართველოს სახელით

საქმე №28/183-11

28 ივნისი, 2011 წელი
თბილისი

სამოქალაქო საქმეთა პალატა

**თავმჯდომარე, მომხსენებელი - ქეთევან მუსხიშვილი
მოსამართლეები – ნატალია ნაზლაიძე, ნათია გუჯაბიძე**

სხდომის მდივანი – ნაირა კობიაშვილი

აპელანტი – მ. ა., მ. დ., ლ. ლ., თ. ლ., ნ. ჭ., გ. თ., თ.ა.

წარმომადგენელი – მ. ს., გ. ფ.

მოწინააღმდეგე მხარე – შპს „ჯ. ც.“, დირექტორი ლ. გ.

წარმომადგენელი – ვ. მ.

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება

1. აპელანტების მოთხოვნა – გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება

2. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება

მ. ა., მ. დ., ლ. ლ., თ. ლ., ნ. ჭ., გ. თ.-სა და თ. ა.-ს მიერ შპს „ჯ. ც.-ს“ მიმართ წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნა:

შპს „ჯ. ც.-ს“ პარტნიორთა 2010 წლის 24 ივნისის კრების ოქმის ბათილად ცნობა

საზოგადოების კაპიტალის გაზრდის ნაწილში.

ბასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი

მ. ა., მ. დ., ლ. ლ., თ. ლ., ნ. ჭ., გ. თ.-სა და თ. ა.-ს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

დასკვნები შაქტობრივ ბარემოებებთან დაკავშირებით

2.1. შპს „ჯ. ც.“ რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში საიდენტიფიკაციო კოდით XXXXXXXXXXX. საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორები არიან: 1. გ. თ. (5%), 2. ნ. ჭ. (5%), 3. თ. ლ. (5%), 4. ი. ბ. (2%), 5. მ. ა. (2%), 6. ლ. ლ. (3%), 7. გ. ხ. (1%), 8. მ. დ. (5%), 9. ლ. გ. (54%), 10. თ. ა. (14%), 11. გ. ნ. (4%). საზოგადოების წარმომადგენლობის უფლებამოსილება აქვს დირექტორს – ლ. გ.-ს.

დასახელებული გარემოებები დადასტურებულად იქნა მიჩნეული მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის ამონაწერით (ტომი I, ს.ფ. 46);

2.2. შპს „ჯ. ც.-ს“ 2010 წლის 24 ივნისის პარტნიორთა საერთო კრებაზე განხილული იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვადასხვა საკითხი. კრებას ესწრებოდნენ საზოგადოების დამფუძნებლები – ლ. გ., გ. თ., ნ. ჭ., თ. ლ., ი. ბ., მ. ა., ლ. ლ., გ. ხ., მ. დ. და თ. ა. კრებას ესწრებოდნენ ასევე მოსარჩელეთა წარმომადგენლები – მ. კ. და გ. ფ. კრებაზე დამსწრე პარტნიორთა ხმების 59,37%-ის გადაწყვეტილებით საზოგადოების საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 250 000 ლარამდე და საწესდებო კაპიტალის შევსების ვადა განისაზღვრა 2010 წლის 31 დეკემბრამდე.

დასახელებული გარემოება დადასტურებულად იქნა მიჩნეული კრების ოქმით (ტომი I, ს.ფ. ს.ფ. 33-36).

დასკვნები სამართლებრივ ბარემოებებთან დაკავშირებით

2.3. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი თავისი ქონებით. ამავე მუხლის მეხამე პუნქტის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალი დაყოფილია წილებად.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9¹-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პარტნიორთა საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც. საწარმოს ყოველ პარტნიორს, შპს-ს შემთხვევაში – დირექტორსაც, შეუძლია, ერთი კვირის ვადაში მოიწვიოს პარტნიორთა საერთო კრება ყველა პარტნიორისათვის დაზღვეული წერილის გაგზავნით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით, რომელიც იძლევა ადრესატის მიერ ინფორმაციის მიღების დადასტურების საშუალებას. წერილი უნდა შეიცავდეს დღის წესრიგის პროექტს. მოწვევის მიღებიდან 3 დღის ვადაში პარტნიორებს შეუძლიათ დამატებათა შეტანა დღის წესრიგში. ამავე

მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით, ყველა გადაწყვეტილება, რომელთა მნიშვნელობა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას, მოითხოვს ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრების გადაწყვეტილებას. ამავე მუხლის მე-6 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში კრება იღებს გადაწყვეტილებას ახალი/დამატებითი შენატანების გზით საწარმოს კაპიტალის გაზრდის შესახებ.

სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელები სადავოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ საზოგადოების დამფუძნებელ პარტნიორთა კრება მოწვეული იყო და ჩატარდა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. მოსარჩელები სადავოდ ხდიან მხოლოდ კრების გადაწყვეტილებას საწესდებო კაპიტალის გაზრდის შესახებ იმის გამო, რომ არ არსებობდა საწესდებო კაპიტალის გაზრდის საჭიროება და აღნიშნული მიზნად ისახავს მათი წილების შემცირებას.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის 4¹ პუნქტის თანახმად, პარტნიორები დებენ შეთანხმებას (წესდებას), რომლის საფუძველზეც წესრიგდება საწარმოს საქმიანობასთან ან/და პარტნიორების ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები.

ამავე კანონის 3.7 მუხლის შესაბამისად, პარტნიორებს შეუძლიათ, წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში განსაზღვრონ თითოეული პარტნიორის შენატანის წესი და ვადა. ვადის უშუალოდ გასვლის შემთხვევაში, პარტნიორი, რომელმაც არ განახორციელა გადახდა, კარგავს წილს და ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებსაც, თუ წესდებით სხვა რა არ არის დადგენილი.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 9¹ მუხლის მე-10 პუნქტის მიხედვით, შპს-ს პარტნიორთა ხმები განისაზღვრება მათი წილების პროპორციულად. ამავე კანონის 47.1 მუხლის მიხედვით, საწარმოს პარტნიორები მმართველობით უფლებამოსილებას ახორციელებენ პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. შპს „ჯ. ც-ს“ წესდების 6.8-ე მუხლის მიხედვით, გადაწყვეტილებები მიიღება კრებაში მონაწილე პარტნიორთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში საზოგადოების პარტნიორთა 2010 წლის 24 ივნისის კრებაზე გადაწყვეტილება კაპიტალის გაზრდის შესახებ მიღებული იქნა კრებაში მონაწილე პარტნიორთა ხმების უმრავლესობით.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელეთა მიერ მითითებული გარემოებები იმასთან დაკავშირებით, რომ საზოგადოების კაპიტალის გაზრდა მოხდა ფაქტიურად 70 000 ლარით და დამფუძნებელი პარტნიორი ლ. გ. არ აპირებს დამატებითი შენატანის განხორციელებას 2010 წლის 31 დეკემბრამდე, რადგან ლ. გ.-ს განმარტებით, მას 137683 ლარი წილების განმავლობაში შეტანილი აქვს საზოგადოებაში. სასამართლომ აღნიშნა, რომ დასახელებული გარემოებები არ არის ასახული დამფუძნებელთა 2010 წლის 24 ივნისის კრების ოქმში, ამასთან, ლ. გ. წერილობით შესაგებებელში მიუთითებს, რომ იგი სხვა პარტნიორების მსგავსად ვალდებულია, შეასრულოს 2010 წლის 24 ივნისის კრების ოქმით დაკისრებული მოვალეობა შენატანის განხორციელების შესახებ.

სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოსარჩელეთა მითითება იმის შესახებ, რომ კაპიტალის გაზრდა განხორციელდა მხოლოდ მათი წილების შემცირების მიზნით. სასამართლომ აღნიშნა, რომ დასახელებული გარემოება არ დასტურდება საქმეში არსებული მასალებით. სასამართლოს განმარტებით, საზოგადოების კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში, შეუძლებელია მოხდეს მოსარჩელეთა წილების (შენატანების) შემცირება, არამედ ცვლილება შეიძლება აისახოს მხოლოდ პროცენტულ მაჩვენებელზე და არა დამფუძნებელთა შენატანებზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს დასკვნით, მოსარჩელეთა მიერ ვერ იქნა დასაბუთებული ვერც ერთი ფაქტობრივი გარემოება, რომელიც სადავო კრების ოქმისა და კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების კანონსაწინააღმდეგობაზე მიუთითებდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის მიხედვით, სარჩელი შეიძლება, აღიძრას უფლებისა და სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს ამის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს.

სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში, მართალია, იკვეთება მოსარჩელეთა იურიდიული ინტერესი კრების ოქმის ბათილად ცნობის მიმართ, რადგან სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში მოსარჩელებს მოეხსნებათ დამატებითი შესატანის შეტანის ვალდებულება, მაგრამ გათვალისწინებულ იქნა, რომ ეს გარკვეულწილად მოსარჩელის ინტერესის მხოლოდ დროებითი დაცვაა. საწესდებო კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, საზოგადოებას კვლავ ექნება უფლება და სამართლებრივი შესაძლებლობა, მოიწვიოს კრება და მიიღოს გადაწყვეტილება საწესდებო კაპიტალის გაზრდის შესახებ, ვინაიდან აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარს უჭერენ საზოგადოების კაპიტალის 50%-ზე მეტი წილის მფლობელი პარტნიორები. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო კრების ოქმის ბათილად ცნობის გამოკვეთილი და რეალურად მიღწევადი, შენარჩუნებადი ინტერესი არ იკვეთებოდა.

3. სააპელაციო საჩივრის საფუძვლები

3.1. მოსარჩელებმა სადავოდ გახადეს სადავო კრების გადაწყვეტილებით არა მხოლოდ საზოგადოების საწესდებო კაპიტალის გაზრდის საჭიროება, არამედ მისი დასაბუთებულობა.

ლ. გ.-ს მიერ სადავო გადაწყვეტილების მიღებისას კრებისათვის წარდგენილი დოკუმენტებით ვერ იქნა დადასტურებული, რომ რეალურად უნდა განხორციელებულიყო შენატანები საწესდებო კაპიტალში. ლ. გ.-ს მტკიცებით, ხდებოდა საწესდებო კაპიტალის გაზრდა 250 000 ლარით სამედიცინო აპარატურის შეძენის საჭიროებიდან გამომდინარე, ზარალის დასაფარად და სხვა ხარჯების გამო. ამასთან, ლ. გ.-მ წარადგინა შეტანილი და შესატანი თანხების ამსახველი ცხრილი, რომლიდანაც ირკვევა, რომ საწარმოს კაპიტალის გაზრდა ფაქტობრივად ხდებოდა 70 000 ლარით.

ამასთან, **ლ. გ.-ს** განმარტებით, მას 137 683 ლარი წლების განმავლობაში ჰქონდა შეტანილი საზოგადოებაში და ამდენად, უნდა ჩათვლიდა გადახდილად. **ლ. გ.-მ** ვერ წარადგინა 137 783 ლარის შეტანის დამადასტურებელი მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაშიც კი, დასახელებული თანხა უნდა ყოფილიყო მიჩნეული საწარმოს მიერ აღებულ სესხად და არა შენატანად საწესდებო კაპიტალის გაზრდის მიზნით, ვინაიდან იგი ასეთად შეიძლებოდა, მიჩნეულიყო მხოლოდ პარტნიორთა კრების მიერ კაპიტალის გაზრდასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების არსებობის პირობებში;

3.2. სასამართლომ არასწორად აღნიშნა, რომ ვინაიდან სადავო კრების ოქმში არ იყო ასახული **ლ. გ.-ს** მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ იგი არ აპირებდა დამატებითი შენატანის განხორციელებას 2010 წლის 31 დეკემბრამდე, რადგან 137 683 ლარი წლების განმავლობაში შეტანილი ჰქონდა საზოგადოებაში, არ არსებობდა ამ გარემოების დადგენის საფუძველი. სასამართლომ უნდა გაეთვალისწინებინა, რომ 2010 წლის 24 ივნისის კრების მოწვევისას **ლ. გ.-მ** წარადგინა პროექტი და დასაბუთება კაპიტალის გაზრდის თაობაზე საკითხის მიღებისათვის. შესაბამისად, კრების დღის წესრიგს ახლდა თანდართული დოკუმენტაცია, რომლითაც განისაზღვრა კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველები და დასაბუთება;

3.3. იმის გათვალისწინებით, რომ სადავო კრების გადაწყვეტილება გასაჩივრებულია მისი კანონსაწინააღმდეგო ხასიათის გამო, სასამართლომ დაუსაბუთებლად მიუთითა, რომ ამ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში საზოგადოების 50%-ზე მეტი წილის მქონე პარტნიორთა მიერ იგივე გადაწყვეტილების მიღება განმეორებით იქნებოდა შესაძლებელი;

3.4. სადავო გადაწყვეტილებით საწესდებო კაპიტალის ერთპიროვნულად გაზრდისას არ ყოფილა დასაბუთებული, თუ რა საჭიროებით იყო განპირობებული საწესდებო კაპიტალის გაზრდის აუცილებლობა მაშინ, როდესაც საზოგადოებას დღესაც გაცილებით უფრო დიდი ქონება გააჩნია, ვიდრე დასახელებული თანხაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო გადაწყვეტილება ემსახურება მხოლოდ დომინანტი პარტნიორების ინტერესებს, შეამცირონ სხვა პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობა. უფლების ბოროტად გამოყენებად უნდა ჩაითვალოს უფლებით ისეთი სარგებლობა, როდესაც არ არის გამოკვეთილი ამავე უფლების მატარებლის ინტერესი, არამედ იკვეთება მხოლოდ სხვა პირის უფლებრივი მდგომარეობის გაუარესების ინტერესი;

3.5. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ სადავო გადაწყვეტილების მიღებაზე კრება უფლებამოსილი იყო საზოგადოების პარტნიორებთან ერთობლივი თანხმობით. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 5.1 პუნქტის მიხედვით, თუ წესდების ცვლილება შეეხება პარტნიორის ხმის უფლებას, მოგება/ზარალში წილს ან უფლებას ლიკვიდაციისას, აღნიშნული ცვლილება მიღებულ უნდა იქნეს ერთხმად, თუ წესდების შესაბამისი ნაწილით, რომელიც პარტნიორთა მიერ ერთხმად იყო მიღებული, სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 386-ე მუხლის შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია და საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უბრუნდება, სააპელაციო სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე. იგი თავისი განჩინებით უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე ან გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით იღებს ახალ გადაწყვეტილებას.

მოცემულ შემთხვევაში, პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი წინამძღვრები.

შაჩტობრივი დასაბუთება

პალატა თვლის, რომ დადგენილად უნდა იქნეს მიჩნეული საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1. შპს „ჯ. ც.-ს“ გააჩნდა კაპიტალის გაზრდის საჭიროება.

პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ შპს „ჯ. ც.-ს“ აპელანტების მიმართ დავალიანება ჰქონდა, ვინაიდან მათ, პერიოდულად, ცენტრის საჭიროებიდან გამომდინარე, საზოგადოებაში თანხები შეჰქონდათ, რაც საზოგადოებას პარტნიორების წინაშე დავალიანებად ერიცხებოდა.

გარდა ამისა, ცენტრის კაპიტალის 250 000 ლარით განსაზღვრა განპირობებული იყო სხვადასხვა აპარატურის შეძენისა და ცენტრში არსებული პირობების გაუმჯობესების საჭიროებით.

სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ აღნიშნული საჭიროება არ ყოფილა გაქარწყლებული მოსარჩელეთა მიერ წარდგენილი არგუმენტებითა და აღნიშნული არგუმენტების დამადასტურებელი მტკიცებულებებით (ტ I, ს.ფ. 22, ტ II, ს.ფ. 96-100);

4.2. შპს „ჯ. ც.-ს“ კანონით მინიჭებული უფლება შენატანების გზით საზოგადოების კაპიტალის გაზრდის თაობაზე ბოროტად არ გამოუყენებია.

პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ შპს „ჯ. ც.-ის“ პარტნიორებს ცენტრის გენერალური დირექტორის მიერ წარედგინათ წინადადება კაპიტალის გაზრდის თაობაზე. წინადადება მოიცავდა ორ შესაძლო ვარიანტს, კერძოდ, პირველი, 2010 წლის 24 ივნისამდე ყველა პარტნიორის მიერ საზოგადოებისათვის გადაცემული თანხა ჩათვლილიყო შენატანად,

საზოგადოების კაპიტალი განსაზღვრულიყო 180 000 ლარით და პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობა განხორციელებული შენატანების პროპორციულად გადაანგარიშებულიყო ან საზოგადოების კაპიტალი განსაზღვრულიყო 250 000 ლარით, პარტნიორებს განხორციელებინათ 70 000 ლარის ოდენობის დამატებითი შენატანი და პარტნიორთა წილები შესაბამისი პროპორციით გადაანგარიშებულიყო. აპელანტებს აღნიშნული წინადადებები სადავოდ არ გაუხდიათ, თუმცა, სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ საბოლოოდ, 2010 წლის 24 ივნისის კრებაზე გატანილ იქნა და კენჭი ეყარა მხოლოდ მეორე წინადადებას (ტ I, ს.ფ. 21-27, 33-37).

პალატა ასევე დადგენილად მიიჩნევს, რომ საზოგადოების პარტნიორებს მიეცათ წინადადება, რომ საზოგადოებაში, გარკვეული საჭიროებებიდან გამომდინარე შეტანილი თანხები, დაეტოვებინათ საზოგადოებაში, მისცემოდა აღნიშნულ თანხას შენატანის კვალიფიკაცია და მათი წილიც პროპორციულად გადაანგარიშებულიყო. აღნიშნულ შეთავაზებაზე აპელანტებმა უარი განაცხადეს (ტ II, ს.ფ. 95-100).

ამდენად, პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ ჰქონდა რა შპს „ჯ. ც.-ს“ პარტნიორების წინაშე დავალიანება, დავალიანების არსებობა, თავისი არსით, გულისხმობს იმას, რომ კრედიტორი ვალდებულ პირს ადრე თუ გვიან ვალდებულების შესრულებას მოსთხოვს, ამიტომ შპს „ჯ. ც.-ს“ განვითარების მიზნებისათვის, რა თქმა უნდა, მიზანშეწონილი იყო, რომ არაფერი ვთქვათ აუცილებლობაზე, განვითარების პერსპექტივიდან გამომდინარე, რომ ამგვარი შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში, ვალი ან შენატანად უნდა ჩათვლილიყო და პარტნიორების წილი გაზრდილიყო ან ვალი უნდა დაბრუნებულიყო და შენატანი იმას უნდა განხორციელებინა, ვისაც აღნიშნულის განხორციელების შესაძლებლობა ჰქონდა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის თანახმად, უფლების ბოროტად გამოყენება გულისხმობს უფლების მარტოოდენ იმ მიზნით გამოყენებას, რომ ზიანი მიადგეს სხვას. მოცემულ შემთხვევაში, პალატა მიიჩნევს, რომ შპს „ჯ. ც.-ს“ მიზანი კაპიტალის გაზრდის თაობაზე კანონშესაბამისი და ლეგიტიმურია, ამასთან არსებობს აღნიშნული უფლების გამოყენების არათუ მიზანშეწონილობა, არამედ საჭიროებაც კი, შესაბამისად, უსაფუძვლოა უფლების ბოროტად გამოყენებაზე აპელირება, ვინაიდან უფლების ბოროტად გამოყენებად ქმედების კვალიფიკაციისათვის აუცილებელია, რომ უფლების რეალიზატორი მხოლოდ სხვის საზიანოდ მოქმედებდეს და არანაირ სარგებელს არ იღებდეს აღნიშნული ქმედებიდან.

4.3. შპს „ჯ. ც.-ს“ 2010 წლის 24 ივნისის კრების მოწვევის და ჩატარების პროცედურული წესები დარღვევული არ ყოფილა.

მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ კრების მოწვევის პროცედურული წესების დარღვევა. პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ არც კრების ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღების წესების დარღვევას ჰქონდა ადგილი.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 5.1 პუნქტის მიხედვით, თუ წესდების ცვლილება შეეხება პარტნიორის ხმის უფლებას,

მოგება/ზარალში წილს ან უფლებას ლიკვიდაციისას, აღნიშნული ცვლილება მიღებულ უნდა იქნეს ერთხმად, თუ წესდების შესაბამისი ნაწილით, რომელიც პარტნიორთა მიერ ერთხმად იყო მიღებული, სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ამდენად, პალატა განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული ცვლილების განხორციელება წესდებაში იმ შემთხვევაში საჭიროებს პარტნიორების მიერ გადაწყვეტილების ერთხმად მიღებას, როდესაც წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. შპს „ჯ. ც-ს“ წესდების 4.3 პუნქტის მიხედვით, საწესდებო კაპიტალის შევსების, გადანაწილების ან სხვა რაიმე ცვლილების შესახებ საკითხი განიხილება და დამტკიცდება პარტნიორთა საერთო კრებაზე. ამავე წესდების 6.8 პუნქტის მიხედვით, გადაწყვეტილება მიიღება კრებაში მონაწილე პარტნიორების ხმების უბრალო უმრავლესობით. წესდების 6.9 პუნქტის შესაბამისად კი, პარტნიორთა კრების კომპეტენციაში შედის ცენტრის წესდების დამტკიცება, მასში დამატებებისა და ცვლილებების შეტანა.

4.4. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო გადაწყვეტილებას უკანონოდ მიიჩნევდა, აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება, თუნდაც ხმების საჭირო რაოდენობის პირობებში, დაუშვებელი იქნებოდა.

პალატა იზიარებს აპელანტების მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ მათ წინამდებარე სარჩელისა და სააპელაციო საჩივრის მიმართ იურიდიული ინტერესი აქვთ. პალატა ეთანხმება აპელანტების მოსაზრებას კრების ოქმის უკანონობის დადგენის შემთხვევაში, ამგვარი გადაწყვეტილების კვლავ მიღების შეუძლებლობის თაობაზე და განმარტავს, რომ ვინაიდან მოსარჩელეები ასაჩივრებენ კრების ოქმს არა მისი პროცედურული ხარვეზის, არამედ არსებითი ხასიათის უსწორობისა და კანონსაწინააღმდეგობის საფუძველით, იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ ადგილი ჰქონდა უფლების ბოროტად გამოყენებას, პალატა მიიჩნევს, რომ არსებითად კრების ოქმის შეფასების შედეგად სასამართლოს დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული ოქმი კანონსაწინააღმდეგოა, ნიშნავს იმას, რომ რამდენ ამგვარ გადაწყვეტილებას მიიღებს კრება, იმდენი გადაწყვეტილება დაკარგავს თავის იურიდიულ ძალას ერთხელ უკვე კანონირ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით. შესაბამისად, აბსოლუტურად დასაბუთებულია მხარეთა იურიდიული ინტერესი კრების ოქმის ბათილად ცნობის თაობაზე.

სამართლებრივი დასაბუთება

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით.

პალატა განმარტავს, რომ საწარმოს კაპიტალს უადრესად დიდი მნიშვნელობა გააჩნია კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში სამართალბრუნვისა და ბიზნესის განვითარების კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო ურთიერთობები კეთილსინდისიერების მაღალი სტანდარტით უნდა

ხასიათდებოდეს, კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან ურთიერთობა სამოქალაქო ბრუნვის სტაბილიზაციის მიზნებისათვის გარკვეული გარანტიების შექმნას მოითხოვს. სწორედ ამგვარი გარანტიის შექმნას ემსახურება მესამე პირებთან ურთიერთობაში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალი. საზოგადოების კაპიტალის ერთ-ერთი და მთავარი ფუნქცია მესამე პირების მოთხოვნების დაკმაყოფილებაა, შესაბამისად, საზოგადოების კაპიტალის ფუნქცია მესამე პირებისათვის ერთგვარი გარანტიის შექმნაა, ზოგადად, კრედიტორისათვის გაცილებით მისაღებია იმ საწარმოსთან ურთიერთობა, რომელსაც უფრო მეტი კაპიტალი აქვს, უფრო მეტი ქონება გააჩნია, ვინაიდან სამეწარმეო საქმიანობა გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული და სავსებით გასაგებია, რომ საზოგადოების შესაძლო არარენტაბელური საქმიანობის შემთხვევაში, კრედიტორს გაცილებით დიდი ალბათობა აქვს დიდი ქონებიდან დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა, ვიდრე მცირე სახსრებიდან. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ სამეწარმეო სუბიექტის კაპიტალი კაპიტალური საზოგადოების სიმყარის გარანტიასაც წარმოადგენს. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ სავსებით დასაბუთებულია შპს „ჯ. ც.-ს“ პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ საზოგადოების კაპიტალის გაზრდის ერთ-ერთ მიზანს სწორედ სამოქალაქო ბრუნვაში მყარი კაპიტალური საზოგადოების სახით მონაწილეობა წარმოადგენს, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს შპს „ჯ. ც.-ს“ განვითარებას, ვინაიდან სამოქალაქო ბრუნვაში იგი სასურველი და საიმედო პარტნიორი იქნება.

თავისუფალი კონკურენციის პირობებში მეწარმე სუბიექტები სულ უფრო მეტ სახსრებს საჭიროებენ იმისათვის, რომ დააკმაყოფილონ თანამედროვეობის მოთხოვნები და იყვნენ კონკურენტუნარიანები ბაზარზე. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს საწარმოს კაპიტალის გაზრდის შესაძლებლობას შენატანების შეტანის გზით, კერძოდ, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 91-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში კრება იღებს გადაწყვეტილებას ახალი დამატებითი შენატანების გზით საწარმოს კაპიტალის გაზრდის შესახებ. პალატა აქვე განმარტავს, რომ რამდენადაც აღნიშნული ნორმა მიზნად ისახავს მეწარმე სუბიექტების გაძლიერებას, კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებას, იმდენად საფრთხილოა, რათა აღნიშნულ ნორმაზე დაყრდნობით დაუშვებლად არ იქნეს პარტნიორთა უფლებები შელახული. შესაბამისად, აუცილებელია ბალანსის დაცვა ერთი მხრივ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ინტერესებსა და მეორე მხრივ, იმ პარტნიორის ინტერესებს შორის, რომლის წილიც კაპიტალის გაზრდის ხარჯზე, წილების გადაანგარიშების შედეგად პროპორციულად მცირდება.

ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ მოცემული კატეგორიის დავის სამართლიანი და ობიექტური გადაწყვეტის მიზნებისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს მტკიცების ტვირთის განაწილების სამოქალაქო საპროცესო კოდექსში მოქმედი სტანდარტი, რომლის მიხედვითაც, მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს გარემოებები, რომლებზედაც იგი ამყარებს სასარჩელო მოთხოვნას, ხოლო მოპასუხემ კი ის გარემოებები, რომლებსაც შესაგებელი ეფუძნება. განსახილველ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს შპს „ჯ. ც.-ს“ პარტნიორთა 2010 წლის 24 ივნისის კრების ბათილად ცნობა

საზოგადოების კაპიტალის გაზრდის ნაწილში. როგორც სარჩელის, ასევე სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის საფუძველად მითითებულია ის გარემოება, რომ კრების გადაწყვეტილება მიზნად ისახავდა პარტნიორების წილის შემცირებასა და მათ საზოგადოებიდან გარიცხვას. პალატა განმარტავს, რომ ხშირ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისაგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს. თვალსაჩინოებისათვის, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი დამატებითი შენატანების გზით საწარმოს კაპიტალის გაზრდას დასაშვებად მიიჩნევს, შესაბამისად, კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში, მოქმედებს პრეზუმფცია იმისა, რომ პარტნიორთა ქმედება კანონშესაბამისია, სწორედ მოსარჩელის მტკიცების საგანში შედის იმ გარემოებათა დამტკიცების ვალდებულება, რომ მართალია, პარტნიორები კანონის დანაწესის ფარგლებში მოქმედებდნენ, თუმცა, ადგილი აქვს კანონით მინიჭებული უფლების ბოროტად გამოყენებას. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელეებს მ. ა.-ს, მ. დ.-ს, ლ. ლ.-ს, თ. ლ.-ს, ნ. ჭ.-ს, გ. თ.-სა და თ. ა.-ს უნდა დაედასტურებინათ, რომ შპს „ჯ. ც.-ს“ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება კაპიტალის გაზრდის თაობაზე, რეალურად, საზოგადოების საჭიროებით კი არ იყო განპირობებული, არამედ პარტნიორთა წილის შემცირებასა და პარტნიორთა საზოგადოებიდან გარიცხვას ისახავდა მიზნად.

პალატა ასევე განმარტავს, რომ მართალია, ამგვარ მოცემულობას „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს, თუმცა, აღსანიშნავია, რომ შენატანების შეტანის გზით საწარმოს კაპიტალის გაზრდა აუცილებლობით ან/და სულ მცირე, მიზანშეწონილობით უნდა ხასიათდებოდეს. კანონით გათვალისწინებული უფლების გამოყენების აუცილებლობა ან/და მიზანშეწონილობა ის კატეგორიებია, რომელთა დადგენის საჭიროება განპირობებულია არა კანონის დანაწესიდან გამომდინარე, არამედ უფლების ბოროტად გამოყენების პრევენციის მიზნებისათვის. ამდენად, იმ შემთხვევაში, როდესაც მოსარჩელე სარჩელის საფუძველად იმ გარემოებაზე აპელირებს, რომ საწარმოს კაპიტალის გაზრდა მიზნად ისახავდა პარტნიორების წილის შემცირებას, შესაგებლის მტკიცების საგანში სწორედ იმ გარემოებების დამტკიცების ვალდებულება შედის, რომ კაპიტალის გაზრდა აუცილებელი ან/და სულ მცირე, მიზანშეწონილი იყო. მოცემულ შემთხვევაში, შესაგებლის ავტორთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებით დასტურდება, თუ რის შექენას აპირებდა შპს „ჯ. ც.“ და რა ღონისძიებების გატარება იდგა დღის წესრიგში გაზრდილი კაპიტალის მეშვეობით. მოსარჩელეთა და შესაბამისად, აპელანტების მიერ ვერ იქნა გაქარწყლებული აღნიშნულ საჭიროებათა არსებობის ფაქტი, ასევე ვერ იქნა დასახელებული რეალური ალტერნატიული წყარო ხსენებული მიზნის მისაღწევად. რაც შეეხება არგუმენტს, იმასთან დაკავშირებით, რომ საზოგადოებას შეეძლო აეღო კრედიტი, პარტნიორებისაგან მიეღო სესხი და ა. შ უსაფუძვლოა, ვინაიდან, დაუშვებელია შენატანების გზით საზოგადოების კაპიტალის გაზრდის ალტერნატივად მიჩნეულ იქნას საზოგადოების მიერ კრედიტის აღება, პარტნიორების მიერ საზოგადოებისათვის სესხის სახით თანხის მიცემა, როდესაც არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ

საზოგადოების კაპიტალი შენატანის განხორციელების გზით გაიზარდოს, მითუმეტეს, როდესაც ამის საჭიროება და მიზანშეწონილობა სახეზეა. პალატა, განსახილველ შემთხვევაში, აპელირებს რა შენატანების გზით საზოგადოების კაპიტალის გაზრდის აუცილებლობასა და საჭიროებაზე, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს აღნიშნული საზოგადოების დანიშნულებასა და ფუნქციორ დატვირთვაზე. პალატა მიიჩნევს, რომ სამკურნალო დაწესებულებებისათვის განსაკუთრებული დანიშნულება გააჩნია ტექნოლოგიურ წინსვლას, იქ სადაც ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე საუბარი, არათუ მიზანშეწონილი, არამედ სასიცოცხლოდ აუცილებელია ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, ახალი აპარატურის შემოტანა, „ჯ. ც.-ში“ არსებული პირობების ჯანდაცვის თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, რაც იმას ნიშნავს, რომ სამკურნალო დაწესებულების განვითარება სცილდება ერთი და თუნდაც რამდენიმე კერძო პირის ინტერესის ფარგლებს და საყოველთაო დანიშნულებას იძენს, ამდენად, აპელანტთა მიერ წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო უტყუარი მტკიცებულებები იმასთან დაკავშირებით, რომ შპს „ჯ. ც.-ს“ კაპიტალის გაზრდის მიზანი მხოლოდ პარტნიორთა წილის შემცირება იყო და რომ კანონით გათვალისწინებული კაპიტალის გაზრდის საჭიროება არ არსებობდა ან არსებობდა, მაგრამ სხვა გზით იყო შესაძლებელი აღნიშნული საჭიროების დაკმაყოფილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი წინამძღვრებ

5. შიშვამილი სასამართლო დასკვნა

პალატა თვლის, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას და, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს, შესაბამისად, პალატა ეთანხმება გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას და მიიჩნევს, რომ იგი უცვლელად უნდა იქნეს დატოვებული.

6. საპროცესო ხარჯები

აპელანტის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ

დ ა ა დ ბ ი ნ ა

1. მ. ა., მ. დ., ლ. ლ., თ. ლ., ნ. ჭ., გ. თ.-სა და თ.ა.-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება;
3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში მისი სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესების დაცვით დასაბუთებული განჩინების ასლის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საკასაციო საჩივრის წარდგენის გზით;
4. განჩინების გასაჩივრების მსურველი მხარე, თუ ის ესწრება განჩინების გამოცხადებას ან მისთვის ცნობილია განჩინების გამოცხადების თარიღი, ვალდებულია, განჩინების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება განჩინების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

თავმჯდომარე

ქეთევან მისხიშვილი

მოსამართლეები

ნათია გუჯაბიძე

ნატალია ნახლიძე